The European Union for Georgia

ENPARD: Support to Agriculture and Rural Development

RURAL AND AGRICULTURAL POLICY AND DEVELOPMENT INSTITUTE

საქართველოდან ევროკავშირში იმპორტის მოთხოვნები

ახალი ხილი და ბოსტნეული

დოკუმენტი მომზადებულია „სოფლის მეურნეობის საგანმანათლებლო და კვლევითი ორგანიზაციების ინსტიტუციონალური გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტის მიერ. პროექტი ხორციელდება ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. დოკუმენტში გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხისმგებელია სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტი და ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ბაზარზე |განთავსებული ახალი ხილი და ბოსტნეული

სავალდებულო რეგულაციები

- დამაბინძურებლების კონტროლი
- პესტიციდების ნარჩენების კონტროლი
- მცენარეული წარმოშობის პროდუქტების ჯანმრთელობის კონტროლი
- მცენარეთა ჯანმრთელობის კონტროლი
- მიკვლევადობა
- მარკეტინგული სტანდარტები
- ეტიკეტირება
- ჰიგიენა

ნებაყოფლობითი სტანდარტები:

- ორგანული წარმოება და სხვა პირველადი წარმოების სტანდარტები

რა არის მარკეტინგული სტანდარტი

არსებობს ორი სახის სავალდებულო მარკეტინგული სტანდარტი:

1. ზოგადი მარკეტინგული სტანდარტი
2. სპეციალური მარკეტინგული სტანდარტი

ზოგადი მარკეტინგული სტანდარტი განსაზღვრავს მოთხოვნებს ყველა სახის პროდუქციაზე გარდა 10 სახეობისა, რომლებიც რეგულირდება სპეციალური მარკეტინგული სტანდარტით და 16 სახის პროდუქციისა რომლებზეც არ ვრცელდება მარკეტინგული სტანდარტი.

პროდუქცია, რომელზეც ვრცელდება სპეციალური მარკეტინგული სტანდარტი, ევროკავშირში იმპორტისას უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის მოთხოვნებს.

სპეციალურ მარკეტინგულ სტანდარტს დაქვემდებარებული 10 პროდუქცია:

- ვაშლი
- ციტრუსის ხილი

- კივი
- გარკვეული კატეგორიის სალათის ფურცლები
- ატმები და ვაშლატმები
- მსხალი
- მარწყვი
- ტკბილი წიწაკები
- სუფრის ყურძენი
- პომიდორი

ნებაყოფლობითი სტანდარტები

არსებობს ნებაყოფლობითი სტანდარტები, რომელთა დაკმაყოფილება არ არის სავალდებული ევროკავშირში იმპორტისას, თუმცა მყიდველის მიერ მოითხოვება მაღალი გარანტიების მიღების და ბაზარზე არსებული მზარდი მოთხოვნის გამო.

ერთერთი ასეთი გავრცელებული და მსოფლიოს მასშტაბით მოთხოვნადი სტანდარტია GLOBAL GAP.

რა არის GLOBAL GAP?

✓ GLOBAL GAP არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სანიმუშო პრაქტიკის სტანდარტი.

✓ GLOBAL GAP-ის მოქმედების სფეროა: სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მეცხოველეობა, აკვაკულტურები და სხვ. სტანდარტი, გარდა სურსათის უვნებლობისა, ასევე ეხება გარემოს დაცვას, თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებს.

GLOBALG.A.P.-ის სტანდარტი, სხვა სტანდარტების მსგავსად, ნებაყოფლობითია და მისი ჩამოტვირთვა უფასოდ შეიძლება.

GLOBALG.A.P.-ის დანერგვა შეუძლიათ აკრედიტებული სერტიფიცირების ორგანოებს, რომლებიც ასევე აღიარებული უნდა იყვნენ GLOBALG.A.P.-ის მიერ.

ტარიფები

ევროკავშირში იმპორტისას საქართველოში წარმოშობილ ხილსა და ბოსტნეულზე ტარიფები განულებულია, გარდა 28 დასახელების სატარიფო ხაზის პროდუქციისა, რომელთა იმპორტის შემთხვევაში იმპორტიორი იხდის შესვლის გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციის საინვოისო ფასი ნაკლებია ევროკავშირის მიერ დადგენილ შესვლის ფასზე.

ევროკავშირში იმპორტის პროცედურა

1. პროდუქციის შეტანამდე:

პროდუქციის კლასიფიკაცია

წარმოშობის წესები

2. შეტანის მომენტში:

შესვლის წერტილში დათვალიერება/ინსპექტირება

ყველა დოკუმენტი ადგილზეა

რისკის ანალიზი

უნდა პასუხობდეს სტანდარტებს

საიმპორტო მოსაკრებელი გადახდილია

3. შეტანის შემდეგ:

ევროკავშირის ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობა

კოსტავას ქ. N47, ოფისი #23, 0179, თბილისი, საქართველო
www.rapdi.org info@rapdi.org